

პოლიტიკური სისტემა

პოლიტოლოგებმა და პოლიტიკურმა რეფორმატორებმა დიდი ხანია გააცნობიერეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სახელმწიფოებრივი სისტემის რღვევის საშიშროება იმ ჯგუფების მხრიდან, რომლებიც გამოხატავენ განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინტერესებს, მაგ, პროფკავშირები ან კორპორაციები. XIX საუკუნის ბოლოს პროგრესული რეფორმატორები ამტკიცებდნენ, რომ მორგანს და სხვა ფინანსურ და საწარმოო მაგნატებს, თავიანთი სურვილის მიხედვით შეეძლოთ “შეესყიდათ” სახელმწიფოებრივი ძალაუფლების წარმომადგენელი. რუზველტის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ძირითადი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხილვა მას უხდებოდა “სიდნისთან”. საუბარია სიდნი ჰილმანზე, –პოლიტიკური მოძრაობის კომიტეტის ხელმძღვანელზე, КПП (КПП - Конгресс производственных профсоюзов), რუზველტის ერთგულ მომხრეზე. “უოტერგეიტის საქმის” კვლევის შედეგად 70-იანი წლების დასაწყისში აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური მოღვაწეები რეგულარულად იღებდნენ ქრთამს დიდი რაოდენობით, რომ დაეცვათ ქრთამის მიმცემთა ინტერესები.

1974 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავდა კორპორაციებისა და პროფკავშირების საიდუმლო გადასახადებს. ამ კანონის თანახმად, პოლიტიკური მოქმედების კომიტეტებს ეძლეოდათ ნება შეეტანათ 5000 დოლარი წინასწარ და საყოველთაო არჩევნებში. იგულისხმებოდა, რომ ამ კანონის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ამ ტიპის ფულადი შემოწირულობების რეგულირება. არავინ არ განჭვრიტა წინასწარ, თუ რა მოხდებოდა კანონის მიღებიდან 10 წლის შემდეგ.

პოლიტიკურ მოქმედებათა კომიტეტების რიცხვი გაიზარდა ძალიან სწრაფად. მისი რაოდენობა გაიზარდა 1972 წელს 113 - დან 2551 - მდე 1980 წელს და 3149 - მდე 1982 წელს. ისინი მოიცავდა არა მხოლოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფებს. მაგ, როგორცაა ავტომობილებით მოვაჭრეთა ასოციაცია, არამედ ისეთ სპეციფიკურ გაერთიანებებს, როგორცაა “yote” КПП, უოტერბურგერის კორპორაციის წარმომადგენელს, ასევე КПП, “რუმინელები ძლიერი ამერიკისათვის”. გათვლების თანახმად, კონგრესის არჩევნების კანდიდატებისათვის გაცემული თანხები გაიზარდა 1972 წელს 10 000 000 დოლ. - დან 80 000 000 დოლ.-მდე 1982, ხოლო საერთო თანხამ ყველა პოლიტიკურ დონეზე 1982 წელს მიაღწია 240 000 000-ს.

ამ ტენდენციამ მიგვიყვანა ერთ სერიოზულ შედეგამდე-ნათელი გახდა, რომ კონგრესის არჩევნებში ხმები შეიძლება ვიყიდოთ ქრთამის საშუალებით. ავტომანქანებით ვაჭრობის ნაციონალურმა ასოციაციამ რამდენიმე ათასი დოლარი გადასცა ვაჭრობისა და ენერჯის გამოყენების კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელებს. ამიტომაც მათ იმ შემოთავაზების წინააღმდეგ მისცეს ხმა, რომელიც გულისხმობდა, რომ გამყიდველმა უნდა აცნობოს მყიდველს ავტომობილის დეფექტების შესახებ. საბოლოო ჯამში ეს წინადადება კონგრესმა უარყო. კიდევ ერთი მაგალითი. პროფკავშირებმა და საქმიანმა წრეებმა შექმნა კავშირი, რომელიც მხარს უჭერდა გემთმშენებლობაში ფიქსირებული ფასების შესახებ კანონის მიღებას (სხვათა შორის ფასები გაიზარდა თითქმის 50%-ით). საერთო ჯამში ამ ჯგუფებმა გადაუხადეს თითქმის 50 000 დოლ. სავაჭრო ფლოტის კომიტეტის წევრებს. კომიტეტმა ხმა მისცა ამ კანონის შემოღებას (33 ხმა 0-ის წინააღმდეგ), და განხილვა გრძელდებოდა მხოლოდ 40 წუთით.

ჯგუფების პოლიტიკური მხარდაჭერა რომლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეხადათ დიდი თანხა ამისათვის, თავისთავად ახალი არ არის, თუმცა ასეთი მოვლენის გავრცელება ემუქრება აშშ-ში პოლიტიკური პროცესების ორ ტრადიციულ პრინციპს. ჯერ ერთი ეს კიდევ უფრო

ასუსტებს პოლიტიკური კონტროლს მათი წევრების მოღვაწეობაზე. პარტიის წევრები სხვადასხვა გარიგებებს დებენ ჯგუფებთან, რომლებიც მისდევს საკუთარ ინტერესებს და ხანდახან ამის შედეგად გადიან პარტიიდან. მეორეც, და უფრო სერიოზული პრობლემა არის ის, რომ გარე გავლენის გამო პოლიტიკური მოღვაწეები მზად არიან უღალატონ თავიანთი ამომრჩევლების ინტერესებს, რაც არღვევს თავად დემოკრატიულ პროცესებს.

ამაში მხოლოდ ამერიკული პოლიტიკური პროცესების ძირითადი პრინციპების რღვევის ტენდენცია არ ჩანს. პოლიტიკური მოქმედების კომიტეტების მოღვაწეობა აღმოაჩენს სხვა საერთო ნიშნებს, რაც დამახასიათებელია პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

თანხმობის არ არსებობა

პოლიტიკა არ არის მარტივი საქმე. ის არ განახორციელებს ხალხის ერთიან ნებას და არ არის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის დროს ექსპერტების ცოდნის გამოყენების ობიექტი. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს დაპირისპირებული მიზნების დიდი სიმრავლე. ასევე მათგან გამომდინარე დაპირისპირებული ინტერესები. გვაქვს რა საქმე პოლიტიკასთან, ჩვენ აუცილებლად ვაწყდებით კონფლიქტებს.

პოლიტიკური კონფლიქტის საფუძვლები

მრავალი კონფლიქტური ინტერესი განპირობებულია საზოგადოების სტრუქტურით, რომელშიც ფორმირდება მრავალრიცხოვანი ჯგუფები სხვადასხვა მიზნებით, და შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით (მუშები versus მართველთა, მწარმოებლები მომხმარებელთა versus), რწმენით, ასაკით, საცხოვრებელი ადგილით, სქესით. კონფლიქტის სხვადასხვა მიზეზები ხშირად მჟღავნდება, როცა საკამათო პოლიტიკური საკითხი დაკავშირებულია კანონის მიღებასთან, ან ფულად ხარჯებთან ან ერთდროულად ორივესთან. მაგ. ოჯახის გადასახადების ხარჯზე სკოლის დაფინანსების შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს, ისინი, ვისაც არ ჰყავს შვილები (ან ოჯახები, სადაც ბავშვებმა უკვე დაამთავრეს სკოლა), ამჟღავნებენ უფრო კონსერვატულ პოზიციას, ვიდრე სკოლის მოსწავლეთა მშობლები. სახელმწიფოებრივ დონეზე მწარმოებლები გამოდიან მომხმარებელთა წინააღმდეგ, როცა საქმე ეხება ხარჯებს, რომელიც ამაღლებს ავტომობილთა უსაფრთხოებას, ან კვების პროდუქტებში კონსერვანტების გამოყენებას.

მოქმედებისათვის მობილიზაცია

ზოგჯერ განსაზღვრული ინტერესების გამომხატველი ხდება მუდმივად მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებს ამომრჩეველთა მოქმედებას. როგორც მაგალითი, შეიძლება მოვიყვანოთ პოლიტიკური მოქმედებისა და ორგანიზაციების კომიტეტები, რომლებიც ზემოქმედებენ კონგრესის წევრებზე (ლობისტური ჯგუფები). სხვა შემთხვევაში მობილიზაცია ხდება იმ ჯგუფების თანდათანობითი გაერთიანების გზით, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესები. მაგ. ბირთვული ენერჯის გამოყენების “ორგანიზებული ოპოზიცია” დაიწყო 60-იანი წლების ბოლოს. ძირითადად გარემოს დაცვის მოძრაობის გავლენით. როცა მსხვილი ორგანიზაციები მაგ. კლუბი *сиerra* საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი რომელსაც ხელმძღვანელობს რალფ ნადერი, გაერთიანდა მცირე

ადგილობრივ ჯგუფებთან, ანტიბირთვული მოძრაობა გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა. თანამედროვეობაში მსხვილი გავლენიანი ჯგუფები განიხილავენ ბირთვული ენერჯის გამოყენების მრავალ ასპექტს, თვითღირებულების, გარემოს დაბინძურების და ნარჩენების გამოყენების ჩათვლით.

კონფლიქტის დარეგულირება

როგორ გვარდება პოლიტიკური კონფლიქტი? პასუხი ამ კითხვაზე განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურით. პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები გავლენას ახდენდნენ პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებზე: მერებზე, ქალაქის საბჭოს წევრებზე, სახელმწიფო კანონმდებლებზე, წარმომადგენელთა პალატის წევრებზე და სენატორებზე. ეს ადამიანები დაკავებულია კონფლიქტთა გადაჭრით. სასამართლოები ასრულებს იმავე როლს, როცა მისდევენ კანონების კონსტიტუციურობას. დიქტატორული რეჟიმის პირობებშიც კი, სადაც საკანონმდებლო ორგანოებს და სასამართლოს არ აქვთ ძალაუფლება, რაღაც დონეზე შეიძლება მოიძებნოს კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმი. ჰიტლერი იძულებული გახდა ჩაეხშო კონფლიქტი, როცა მისი გენერალების საბჭო შეეწინააღმდეგა მსხვილ გერმანელ მეწარმეებს.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ პოლიტიკური პროცესის კომპონენტებს. თუმცა დავიწყოთ რამდენიმე ძირითადი ცნებიდან და განსაზღვრებიდან.

ძირითადი განსაზღვრებები

პოლიტიკური წყობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც იდეოლოგიებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ახდენს საზოგადოებაში პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმირებას. პოლიტიკური წყობის გაგებისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს ცნებები: ძალაუფლება, ძალა და ბატონობა.

ძალაუფლება

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ძალაუფლება პოლიტიკის საფუძველია. სოციოლოგები, რომლებიც იკვლევენ პოლიტიკურ ცხოვრებას, კარგად უნდა ერკვეოდნენ ძალაუფლების ბუნების არსში.

მაქს ვებერმა, რომელმაც შეიმუშავა მრავალი სოციოლოგიური ცნება, შემოიტანა პოლიტიკური სოციოლოგიის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. მას ეკუთვნის ძალაუფლების ყველაზე ცნობილი განსაზღვრება. ეს არის “შესაძლებლობა ერთი მოღვაწისათვის მოცემულ სოციალურ პირობებში განახორციელოს საკუთარი სოციალური ნება წინააღმდეგობის მიუხედავად.” ასეთი განსაზღვრება გამოყენებადი ორ პარტიას შორის ურთიერთობისადმი. იგულისხმება, რომ ერთი მათგანი ახორციელებს ძალაუფლებას მეორეზე. ძალაუფლება შეიძლება დაფუძნებული იყოს ძალის გამოყენებაზე, ან დაკავშირებული იყოს დაკავებულ პოლიტიკურ თანამდებობასთან, მემკვიდრეობით მიღებულ ავტორიტეტთან ან ავტორიტეტულ სტატუსთან, და სხვა მრავალ ფაქტორთან.

რას წარმოადგენს ძალაუფლება, როცა საუბარია უფრო მსხვილ ჯგუფებზე, მაგ საზოგადოებებზე და ერთობებზე? პარსონსი მას ახასიათებს როგორც “საზოგადოების შესაძლებლობას მობილიზება გაუკეთოს თავის რესურსებს დასახული მიზნის მისაღწევად.” ძალაუფლება ასევე

შეიძლება განვსაზღვროთ როგორც “შესაძლებლობა მივიღოთ გადაწყვეტილება და მივაღწიოთ მის აუცილებელ შესრულებას”. პარსონსი ძალაუფლებას ადარებს ფულს, რამდენადაც ის “რესურსების ერთ - ერთი ტიპია”. გარდა ამისა ძალაუფლება ეს სისტემის ქმედითობაა, კანონების მიღების, წესრიგის დამყარების, მტრებისაგან საზოგადოების დაცვის შესაძლებლობა.

თუმცა ძალაუფლების განსაზღვრება რაღაც დონით კვლავ არ არის ნათელი. ის შეიძლება ნიშნავდეს ძალის გამოყენებას ვინმეს მიმართ. ასევე შეიძლება ვისაუბროთ ერთობის ან საზოგადოების ძალაუფლებაზე, რაც არ ნიშნავს ერთი ადამიანის ან ჯგუფის მეორეზე ბატონობას. ჩვენ ძალაუფლებას განვიხილავთ ერთდროულად როგორც საკუთარი ნების განხორციელების შესაძლებლობას და დასახული მიზნებისათვის საზოგადოების რესურსების მობილიზების შესაძლებლობას.

უთანხმოება ძალაუფლების ბუნების შესახებ წარმოიშვა ე.წ. ნულოვან ჯამთან კავშირში. ძალაუფლება შეიძლება შევადაროთ საქონლის შეზღუდულ რაოდენობას - თუ ის მეტი აქვს ერთ პარტიას, მეორეს ექნება ნაკლები. თუ ძალაუფლება გადანაწილდება მას ყოველთვის მოაქვს დანაკარგი რომელიმე ჯგუფისათვის. და ძალაუფლების განსაზღვრება როგორც ნულოვანი ჯამისა ასახულია პოლიტიკის აღწერაში იმ თვალსაზრისით, თუ ვინ, როდის და რა სახით იღებს მას.

მეორე მხრივ ზოგი თეორეტიკოსი პარსონსის ჩათვლით ამტკიცებს რომ ძალაუფლებას აქვს შეუზღუდავი ხასიათი. პარსონსი ისევ ატარებს ანალოგიას ფულთან. კრედიტმა შეიძლება ხელი შეუწყოს ფულადი რესურსების ზრდას, მაგრამ ერთი ადამიანის სიმდიდრეს ყოველთვის არ მივყავართ სხვა ადამიანთა სიღარიბესთან. ამგვარად, ძალაუფლების ზრდას აუცილებლობით არ მივყავართ ვინმეს მარცხთან.

ძალა

ძალის განსაზღვრებისაგან დამოუკიდებლად, აუცილებელია განვასხვავოთ ძალაუფლება და ძალა. ძალა ეს არის ფიზიკური ძალის გამოყენება, იმისათვის, რომ საკუთარი ნება სხვებს მოვახვიოთ თავზე. მიუხედავად ამისა ძალა უფრო ვიწრო გაგებაა, ვიდრე ძალაუფლება, რამდენადაც ძალაუფლება შეიძლება გამოვიყენოთ ძალის გამოყენების გარეშე. მიუხედავად ამისა, ადამიანებს ახასიათებთ ძალის და ძალაუფლების გაიგივება მაგალითად შეიძლება არ ვაღიაროთ ძალაუფლების სხვა ფორმა, ვიდრე ძალის გამოყენება იმისათვის, რომ ჩავსვათ დაუმორჩილებლები ციხეში, ან მოვკლათ მტრები. საბოლოო ჯამში, ძალაუფლება ყოველთვის ორიენტირებულია ძალაზე. თუმცა ჩვენ რომ გაგვეიგივებინა ძალაუფლება და ძალა, მრავალი კითხვა დარჩებოდა გაურკვეველი. ჩვენ არ განვიხილავდით ძალაუფლების მრავალ ფორმას, რომლებიც არ არის დაკავშირებული ძალის გამოყენებასთან, მაგალითად მთავრობის მცდელობას, დაარწმუნოს დისიდენტების ჯგუფი (მაგ. ამერიკელი ნაცისტები), არ ჩაატაროს დემონსტრაცია, რომელიც გამოიწვევდა ძალადობის განხორციელებას. რატომ გამოიყენება ძალა ერთ შემთხვევაში და სხვა შემთხვევაში არა? რატომ არის, რომ ძალაუფლების განხორციელება დამოკიდებულია მართვის რთულ ფორმებზე და არა უბრალოდ ძალის გამოყენებაზე? ამ კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანია პოლიტიკური სისტემის გაგებისათვის.

ავტორიტეტის ბატონობა

ავტორიტეტი უფრო შეზღუდული ფორმაა, ვიდრე ძალაუფლება. ვებერი ავტორიტეტს განსაზღვრავს, როგორც როგორც “იმის ალბათობას, რომ ბრძანებას მორჩილებით შეხვდება ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი.” ავტორიტეტი გულისხმობს ისეთ ცნებას, როგორცაა ინსტიტუციონალიზაცია და ლეგიტიმაცია.

ყველაზე ხშირად ბრძანებები გაიცემა ოფიციალურ გარემოში, მაგ. ორგანიზაციებში და დაწესებულებებში. არმიაში, საავადმყოფოში ან სკოლაში ადამიანებს შორის ურთიერთობები ყალიბდება ორგანიზაციებში მათი როლების შესაბამისად, და არა პირადი გრძნობებით და ურთიერთობებით. არმიაში ოფიცრები იძლევიან და ასევე ასრულებენ ბრძანებებს. ეს ბრძანებები დაკანონებულია საბრძოლო წოდებებით, რომელიც აძლევს მეთაურს სხვათა ქცევის კონტროლის უფლებას. ბრძანებები სრულდება არა როგორც პირადი თხოვნები, არამედ როგორც ავტორიტეტული მოთხოვნა, რომელიც დადგენილია ორგანიზაციებში. ამგვარად საბრძოლო ბრძანების ავტორიტეტი შეიძლება ჩავთვალოთ ძალაუფლების ინსტიტუციონალიზებულ და ლეგიტიმურ ფორმად.

მე - 6 თავში ჩვენ უკვე განვიხილეთ ხარიზმული ბატონობა. თუმცა ეს ბატონობის მხოლოდ ერთ-ერთი ტიპია, რომელიც ვებერის ცნობილ ტიპოლოგიას შეადგენს. სხვა ორ ტიპს წარმოადგენს ტრადიციული და რაციონალურ-ლეგალური ბატონობა. როგორც გახსოვთ ხარიზმული ბატონობა ეფუძნება იმ ადამიანისადმი ერთგულებას, რომელიც აღჭურვილია მაღალი მისტიკური ძალაუფლებით. ხარიზმულ ლიდერად შეიძლება ჩავთვალოთ მაგ. ქრისტე, განდი, ჰიტლერი. ტრადიციული ბატონობა დაფუძნებულია ტრადიციებზე და ჩვევებზე. როგორც მაგალითი, შეიძლება მოვიყვანოთ ქვეშევრდომებზე მონარქის ძალაუფლება. რაციონალურ-ლეგალური(სხვა სიტყვებით დაკანონებული) ბატონობა უკავშირდება ფორმალური წესების ჭეშმარიტებისა და მათი აუცილებლობის რწმენას. ამ ტიპის ბატონობა გავრცელებულია თანამედროვე ორგანიზაციებში, მაგ. კორპორაციებში.

განსხვავება ბატონობის ვებერისეულ ტიპებს შორის ნათელი გახდება, თუ ჩვენ ვუპასუხებთ შემდეგ სამ კითხვაზე:

1. ვის ან რას უნდა დავემორჩილოთ? ხარიზმული ბატონობის შემთხვევაში ადგილი აქვს ლიდერისადმი სრულ და უსიტყვო მორჩილებას. ტრადიციულ საზოგადოებებში, ადამიანები ამჟღავნებენ იმ ლიდერისადმი მორჩილებას, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით ტრადიციის შესაბამისად. ტრადიციული ლიდერობა ბელადისაგან ითხოვს იმ ადამიანთა წინაშე განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულებას, რომლებიც მას ემორჩილება. რაციონალურ-ლეგალური სისტემის პირობებში ადამიანები მისდევს უპიროვნო წესებს, ნორმებს და პრინციპებს, ამიტომაც ისინი ემორჩილებიან მხოლოდ იმას, რომელიც აღჭურვილია კანონიერი ძალაუფლებით.

2. როგორაა ორგანიზებული პოლიტიკური სისტემა? რაც შეეხება ხარიზმულ ავტორიტეტს, ეს სტრუქტურა დადის უბრალოდ ლიდერისა და მისი ერთგული ადამიანების ურთიერთობაზე. ლიდერის ბრძანებები შეიძლება იყოს თვითნებური, მაგრამ ის აუცილებლად სრულდება. ტრადიციული მოდელის თანახმად, ბელადისადმი ერთგულება და მხარდაჭერა მისი მიმდევრების მხრიდან თაობიდან თაობას გადაეცემა და განმტკიცდება ადათებით, რაც გვახსენებს ურთიერთობას ბატონსა და მოსამსახურეს შორის. რაციონალურ-ლეგალური მოდელის შესაბამისად პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელია საერთო პრინციპები, რაც ახასიათებს ყველა ბიუროკრატias: კადრების შერჩევა ადამიანთა პიროვნული

თვისებურებებიდან დამოუკიდებლად, მთავარია მათი დამსახურება; სახელმწიფოებრივი სამსახური, როგორც კარიერა.

3. როგორია ბატონობის ტიპებსა და ეკონომიკურ სისტემას შორის ურთიერთკავშირი? ლიდერები ეკონომიკურ საქმეებს ხშირად თვლიან საზოგადოების უხამსობად. პრიმიტიულ საზოგადოებებში მიღებულია საჩუქრების და ნაძარცვი სიკეთეების ჩუქება. ტრადიციული მოდელის თანახმად, ლიდერი მხარს უჭერს თავის მომხრეებს, ასაჩუქრებს რა მათ რეზერვის ხარჯზე. რაციონალურ-ლეგალური მოდელის თანახმად, ყოველი მოსამსახურე იღებს ფიქსირებულ ანაზღაურებას. ბიუროკრატის უზრუნველყოფა ხდება პროდუქციის გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლებით. ასევე საგადასახადო შემოსავლებით. სახელმწიფო სამსახური აშშ-ში-ბიუროკრატია არსებობს გადასახადების ხარჯზე.

ბატონობის ეს სამი ტიპი არასოდეს არ არის წარმოდგენილი აბსოლუტური სახით. თუმცა შეიძლება მოვიყვანოთ ყოველი მათგანის მაგალითი, ალბათ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა მოიცავს სამივე ტიპის ელემენტებს. აშშ-ს პოლიტიკურ სისტემაში დომინირებს რაციონალურ-ლეგალური ბიუროკრატია, მაგრამ მასში ასევე არსებობს სხვა ელემენტებიც. მაგ. უმაღლესი სასამართლო მიმართავს კონსტიტუციას სასამართლო დავების დარეგულირებისათვის. ეს ამერიკული პოლიტიკური სისტემის ტრადიციული ასპექტია. ამერიკულ საზოგადოებაში შეიმჩნევა ხარიზმული ელემენტებიც. ჩვენ კვლავ სიყვარულით ვართ განწყობილნი სახელმწიფოს დამფუძნებლების მიმართ. ისეთი პრეზიდენტები, როგორიცაა რუზველტი და კენედი იყვნენ ხარიზმული ლიდერები.

კონფლიქტოლოგიური და ფუნქციონალისტური ასპექტები

სახელმწიფო შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საზოგადოების ნაწილი, რომელიც ფლობს ძალაუფლებას, ძალას, და ავტორიტეტს რესურსებისა და სოციალური სისტემის საშუალებათა გადანაწილებისათვის. ყველაფერი წყლიდან დაწყებული და ხორციით დამთავრებული, რომელსაც ვყიდულობთ საკვებისათვის, გზები, რომლითაც დავდივართ, კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. ცხადია, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება სამთავრობო ჩინოვნიკების მიერ, სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს სოციალური სისტემის შიგნით ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებზე. ვერსალის გრანდიოზული სასახლე და ბაღები ლუდოვიკო IV-სათვის და გლეხებისათვის, რომლებიც გადასახადებს იხდიდნენ ახალი სამეფო რეზიდენციისათვის, სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა.

კონფლიქტის თეორიის მომხრეები და ფუნქციონალისტები გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებს სახელმწიფო ძალაუფლებას. კონფლიქტის თეორიაში ყურადღება მახვილდება შეზღუდული რესურსების გამო სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირებაზე. ფუნქციონალისტები ძირითად მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას პოლიტიკური ძალაუფლების სისტემაში. პირველ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ შინაგან დამაბულობას, რომელიც არღვევს პოლიტიკურ ცხოვრებას. მეორე თვალსაზრისის თანახმად, ჩვენ წარმოგვიდგება პოლიტიკური სისტემა, როგორც მთლიანობა. ორივე თვალსაზრისის უნდა განვიხილოთ როგორც აბსტრაქტული მოდელი და არა რეალობის კონკრეტული აღწერა.

სოციალური კონფლიქტების პერსპექტივა მარქსის მიხედვით

სახელმწიფოს პრობლემისადმი კონფლიქტოლოგიური მიდგომა მნიშვნელოვანწილად ფორმულირდა მარქსის ნაშრომების გავლენით. მარქსი ფიქრობდა, რომ ეკონომიკური წარმოების საშუალებები განსაზღვრავს საზოგადოებაში ძალაუფლების ხასიათს. ის, ვინც ფლობს წარმოების საშუალებებს, იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას, ფლობს ძალაუფლებას. რამდენადაც ისინი განაგებენ რესურსთა განაწილებას, ისინი დაინტერესებულნი არიან საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებითა და დაცვით, რაც გამოწვეულია კლასობრივი ინტერესებით. მარქსი ანალიზებდა კლასობრივ ინტერესებს სხვადასხვა საზოგადოებაში, მათ შორის მისი დროის კაპიტალისტურ ქვეყნებში. ერთი მხრივ ჩამოყალიბდა კაპიტალისტების კლასი, რომელიც ფლობდა წარმოების საშუალებებს და მართავდა ეკონომიკას. მეორე მხრივ არსებობდა მუშები და პროლეტარები, რომელთა შრომასაც კაპიტალისტები ყიდულობდნენ. ის თვლიდა, რომ ამ ორი ჯგუფის კლასობრივი ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს, რამდენადაც კაპიტალისტები ცდილობდნენ უფრო მეტი მოგების მიღებას მუშათა ხარჯზე, რომლებიც ცდილობენ სამუშაოზე დახარჯონ უფრო ნაკლები დრო და ენერჯია.

მარქსის თანახმად, ეკონომიკური სისტემა განსაზღვრავდა პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურას. რამდენადაც კაპიტალისტები მართავდნენ წარმოებას, საზოგადოებრივი ინსტიტუტები გამოხატავდნენ მათ ბატონობას. მაგ. რელიგიური სისტემა ნერგავდა ადამიანებს შორის სხვა სამყაროში ბედნიერების შესახებ მოძღვრებას, რომ გადაეტანა დაბალი კლასების ყურადღება ამ სამყაროში ექსპლუატაციისაგან. მართველობის დემოკრატიულ ფორმას მარქსი თვლიდა პოლიტიკურ იარაღად. თუმცა მუშები იღებდნენ ხმის მიცემის უფლებას, მათი შესაძლებლობა გავლენა მოეხდინათ ხელისუფლების წარმომადგენლებზე კვლავ შეზღუდული რჩებოდა, იმიტომ რომ ისინი არ განახორციელებდნენ კონტროლს ეკონომიკაზე.

თავიანთი პოზიციის შენარჩუნებისა და დაცვისათვის, კაპიტალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფოებრივი აპარატი: პოლიცია, არმია, სასამართლო, ბიუროკრატია. თუმცა ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ აკავებს კონფლიქტს. სისტემა აკონტროლებს ძალაუფლებისადმი მორჩილებას, რამდენადაც მუშები საჭიროებენ სამსახურს იმისათვის, რომ იარსებონ. მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალება არის მათი პოლიტიკური ორგანიზებულობა, ძალაუფლების მოპოვება, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების რეორგანიზაცია მათი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად და “პროლეტარიატის დიქტატურის” დამყარება.

პარსონსის ფუნქციონალისტური პერსპექტივა

განსხვავებით მარქსისაგან, პარსონსი ფიქრობდა, რომ საზოგადოება მორალურად სრულყოფს ადამიანს. რა შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, ძალაუფლების გამოყენება ყოველთვის არ წარმოშობს კონფლიქტს ადამიანებს შორის. რამდენადაც ძალაუფლება ხორციელდება საზოგადოების სახელით, მან შეიძლება დადებითი ზემოქმედება მოახდინოს ყველა ჯგუფზე (და არა მხოლოდ ზოგ მათგანზე), მაგ. უზრუნველყოს მშვიდობა და წესრიგი.

იმ დროს, როცა მარქსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რესურსების გადანაწილებისათვის კლასებს შორის ბრძოლას, პარსონსი პოლიტიკურ ცხოვრებას განიხილავდა, როგორც კოორდინაციის პროცესს. მან იცოდა, რომ სხვადასხვა როლური პოზიციების წამომადგენლები ფლობენ არაერთგვაროვან ძალაუფლებას, მაგრამ ითვალისწინებდა ამ ძალაუფლების და მორჩილების საზღვრებს, მაგ. ხელისუფლების კანონიერებაში ადამიანთა რწმენას.

მარქსისა და პარსონსის თვალსაზრისების შეჯერება

რამდენადაც მარქსი და პარსონსი ამოდიან საზოგადოების ბუნების შესახებ სხვადასხვა ვარაუდებიდან, მათი პოლიტიკური თეორიები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მარქსი ფიქრობდა, რომ კაპიტალისტური სოციალური წყობა თრგუნავს ადამიანის საზოგადოებრივ ბუნებას. პარსონსი განიხილავდა მას, როგორც ადამიანთა ცივილიზაციის საშუალებას. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ პოლიტიკური სისტემები შეიძლება ასრულებდეს კაპიტალისტური იდეოლოგიის მხარდაჭერის ფუნქციას, ხოლო პარსონსი ყურადღებას ამახვილებდა ასეთი სისტემების სასიკეთო გავლენაზე.

მარქსიც და პარსონსიც თვლიდა, რომ პოლიტიკური სისტემა ექვემდებარება მასზე ზემოთ მდგომ ღირებულებას. მარქსის თანახმად, პოლიტიკური სისტემა ხელს უწყობს იმათი პოზიციების დაცვას ან კლასობრივი ინტერესების განხორციელებას, ვინც ხელისუფლებაშია, ანუ ვინც ფლობს წარმოების საშუალებებს. როგორც პარსონსი ფიქრობს, პოლიტიკური პროცესები ექვემდებარება მთელი საზოგადოების ღირებულებებს. ზოგადი ისტორიული მონაცემები, ამტკიცებს ორივე მოსაზრებას. ალბათ სადი აზრი კარნახობს, რომ მომავალში თეორეტიკოსები უნდა ეცადონ მოძებნონ ახსნა ყოველი მოდელის თავისებურებების გათვალისწინებით, და არა ამა თუ იმ თეორიების უპირატესობების გამო კამათის გზით.

ტოტალიტარული სახელმწიფო

ტოტალიტარული სახელმწიფოს მართველები ცდილობენ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარონ ხალხი და ქვეყანა. ისინი ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც ცდილობს ჩადგეს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. თუმცა ყველა ტოტალიტარული რეჟიმი იდენტური არ არის_სოციალისტური კუბა სრულიად არ გავს ნაცისტურ გერმანიას. კომუნისტურ ქვეყნებს შორის ტიტოს იუგოსლავია და მაო ძე-დუნის ჩინეთი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და საბჭოთა კავშირისაგან. მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ზოგო საერთო ნიშანი. ფრიდრიხი და ბჟეზინსკი გამოყოფს ტოტალიტარული სახელმწიფოს ექვს ტიპურ თავისებურებას.

1. იდეოლოგიის ფართო გამოყენება. ტოტალიტარული სახელმწიფო ცდილობს ახსნას ცხოვრების ყოველი ასპექტი. საზოგადოებრივი მიზნები, ქვეყნის აღიარებული ნიმუშები, მტრებიც კი ხასიათდება გამარტივებული, ხშირად დამახინჯებული ფორმით. იდეოლოგია უნდა მიესადაგებოდეს სოციალურ ცვლილებებს. მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმები ცდილობს შეინარჩუნოს ერთი იდეოლოგიის ბატონობა.

2. ერთპარტიული სისტემა. ტოტალიტარული სახელმწიფო წარმოადგენს ერთპარტიულ სისტემას, რომელსაც ხელმძღვანელობს დიქტატორი ან ხელმძღვანელი. ოფიციალურად აღიარებული პარტია ითვლება ერთადერთ კანონიერ პარტიად ქვეყანაში, რომელიც ახდენს მთავრობის მონოპოლიზირებას. ის იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში და აბსოლუტურად მართავს საზოგადოებას, მისგან გამომდინარეობს ძალაუფლება, პრესტიჟი და ფული.

3. ტერორი. ტერორი გამოიყენება სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მხარდაჭერისათვის. წამება და დაკითხვები შეიძლება გამოიყენებოდეს რეჟიმის შიდა და გარე მტრების წინააღმდეგ.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლი. ტოტალიტარული სახელმწიფო განახორციელებს კონტროლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ამიტომაც ოპოზიცია იძულებულია წავიდეს იატაკქვეშეთში. მასებს მიეწოდება მხოლოდ ოფიციალური თვალსაზრისის მოვლენებზე, წახალისებულია რეჟიმისათვის სასურველი მოქმედება.

5. იარაღის მარაგის კონტროლი. ტოტალიტარული სახელმწიფო ახდენს იარაღის გამოყენების მონოპოლიზირებას.

6. ეკონომიკაზე კონტროლი. კონტროლს ექვემდებარება ეკონომიკის ყველა სფერო. ეს შეიძლება ნიშნავდეს სახელმწიფო ეკონომიკური გეგმების არსებობას, რომელიც ადგენს საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დავალებებს.

ამგვარად, ტოტალიტარული სისტემები შლის ზღვარს საზოგადოებრივ და პირად სფეროს შორის და თრგუნავს პირად ინიციატივას. გარდა ამისა, სახელმწიფო სახელმწიფო ცდილობს სრულად დაიქვემდებაროს მოქალაქეები და მოიპოვოს ერთგულება მათი მხრიდან, აკონტროლებს და თრგუნავს საზოგადოების ყველა სხვა ინსტიტუტს, პირველადი ჯგუფების_მეგობრების, ოჯახების ჩათვლით. ორიენტირებულია რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რეჟიმი გავლენას ახდენს ოჯახურ ცხოვრებაზე, ახალგაზრდათა ჯგუფებზე, შრომით მოღვაწეობაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ მხრივ ტოტალიტარული სახელმწიფო გვახსენებს “დიდი ძმის” საზოგადოებას, რომელიც ასახა ორუელმა რომანში “1984”. ტოტალიტარულ საზოგადოებაში არ არსებობს თავისუფლება, ადამიანის უფლებები ან საკუთარი უთანხმოების გამოხატვის შესაძლებლობა.

ავტორიტარული სახელმწიფო

ავტორიტარულ სახელმწიფოში ძალაუფლება გადადის მონარქის ან დიქტატორის ხელში, რომელიც მართავს ძალის გამოყენებით. ლათინურ ამერიკაში დიქტატორული რეჟიმები, ფრანკოს რეჟიმი ესპანეთში და ეთიოპიაში ჰაილეს მართველობა არის XX ს-ში ავტორიტარიზმის მაგალითები. ლიდერები ალბათ ცდილობს ქვეშევრდომთა ისეთი ერთგულების მოპოვებას, როგორც ჰქონდა ჰაიტში “პაპ დოკის” და არგენტინაში ევიტა პერონს, მაგრამ აქ იგულისხმება კონკრეტული ადამიანისადმი ერთგულება და არა ხანგრძლივი მიზნებისა და სახელმწიფოსადმი.

ავტორიტარული რეჟიმების პირობებში პარტიები და იდეოლოგიები თამაშობს რაღაც როლს, მაგრამ ისინი ნაკლები დონით განახორციელებენ კონტროლს, ვიდრე ტოტალიტარულ საზოგადოებებში. დისიდენტებზე კონტროლისათვის ან მასობრივი ინფორმაციის კონტროლისათვის შეიძლება არსებობდეს ცენზურა, შეიარაღებულ ძალებთან ერთად შეიძლება გამოიყენებოდეს ტერორი. თუმცა ეს რეჟიმები მნიშვნელოვნად სუსტია, ვიდრე ტოტალიტარული. ისინი უფრო მეტად იყენებენ მმართველობის ტრადიციულ საშუალებებს. ცდილობენ რა ძალით შეინარჩუნონ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება, მათ ნაკლებად შეუძლიათ განახორციელონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები. გარდა ამისა, აქ ნაკლებად ცდილობენ შეაღწიონ ქვეშევრდომთა პირად ცხოვრებაში, ამიტომაც ავტორიტარული მართველობის დროს უფრო ნათელია ზღვარი საზოგადოებრივ და პირად სფეროებს შორის, ვიდრე ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.

დემოკრატიული სახელმწიფო

სიტყვა-სიტყვით აზრით დემოკრატია ნიშნავს “ხალხის ძალაუფლებას”, მაგრამ დიდ და რთულ საზოგადოებებში ხალხის სრული მართველობა შეუძლებელია. ამიტომაც თანამედროვე დემოკრატია ასოცირდება წარმომადგენლობით დემოკრატიასთან, როცა ხალხი განსაზღვრული ვადით გადასცემს ძალაუფლებას თავის წარმომადგენელს, რომლებიც გადარჩევის ექვემდებარება. წარმომადგენლობითი დემოკრატია არსებობს ისეთ განსხვავებულ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, საფანგეთი, აშშ, კანადა და სხვ. ამ სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია შემდეგი საერთო ნიშნები:

1. ინდივიდუალიზმი. პიროვნების მაღალი ღირებულების რწმენა-დემოკრატიული ცნობიერების ძირითადი პრინციპი. ეს გახდა საკანონმდებლო სისტემების საფუძველი, ამტკიცებდა რა კანონისა და საზოგადოების წინაშე ყველა დამიანის თანასწორობას.

2. მართველობის კონსტიტუციური ფორმა. მართველობის დემოკრატიული ფორმები ეფუძნება კანონების ერთობლიობასა და საკანონმდებლო ტრადიციას (დაწერილს თუ დაუწერილს), რომლებიც პიროვნებაზე, ხელისუფლებაზე და საზოგადოებაზე მაღლა დგას. კონსტიტუციის საფუძველზე ფორმირდება ქვეყანათა ძირითადი კანონმდებლობა, განისაზღვრება პოლიტიკური ძალაუფლების განაწილება და შეზღუდვა. გარდა ამისა, ისინი განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის მეთოდებს. კონსტიტუცია ადგენს უფლებამოსილების დაყოფის პრინციპს ძალაუფლების სხვადასხვა შტოებს, მთავრობის წევრებს შორის, იმგვარად, რომ ძალაუფლების მფლობელთა მოვალეობები და შეზღუდული და ნათლად დადგენილია.

3. მართულთა საერთო თანხმობა. დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია ის, რომ ზრდასრული მოსახლეობა ირჩევს თავის მმართველებს და წარმომადგენლებს პერიოდულად ჩატარებულ არჩევნებზე. ეს არჩევნები ხელს უწყობს იმათ ანგარიშვალდებულებას ვინც ხელისუფლებაშია და ზღუდავს მათი უფლებამოსილების ვადას.

4. ლოიალური ოპოზიცია. იგულისხმება, რომ პოლიტიკური მექანიზმი მოიცავს ორპარტიულ ან მრავალპარტიულ სისტემას. დემოკრატიული ღირებულების შესაბამისად, ოპოზიცია არ ნიშნავს არალოიალურობას, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება. ამიტომ დემოკრატიული მთავრობა არ აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და იშვიათად მიმართავს შეიარაღებულ ძალას პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ.

დემოკრატიული საზოგადოება ფორმირდება სხვადასხვა ეკონომიკურ საფუძველზე. მისი მთავრობა ასრულებს მრავალ სხვადასხვა როლს_სახელმწიფოს მიერ “საყოველთაო კეთილდღეობის” მართვიდან დაწყებული სოციალისტური პროგრამის რეალიზაციით დამთავრებული. დემოკრატიული ინსტიტუტები არსებობს არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, მაგ. ის არის ინდოეთშიც. მაგრამ როგორც ჩვენ გავიგებთ ამ თავში, წარმოების აყვავება და განვითარება, ალბათ ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების შექმნას.

პოლიტიკური პროცესები აშშ-ში

XX ს-ში სოციალური ცხოვრების და ტექნოლოგიების სირთულის პირისპირ, ბევრი ადამიანი გრძნობს თავის პოლიტიკურ უმწეობას. “მე ხმა მივეცი კარტერს, ხოლო გაიმარჯვა რეიგანმა, რომელიც გამოდიოდა ადამიანის უფლებების საკითხთან დაკავშირებით ცვლილებების შემოტანის წინააღმდეგ”. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არჩევნებში მონაწილეობა და პოლიტიკური მოღვაწეობის სხვა ტიპი არაფერს არ ნიშნავს. თუმცა ადამიანებს კვლავ

უყალიბდებათ მკაფიო პოლიტიკური შეხედულებები, და ისინი მონაწილეობენ პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტში.

პოლიტიკური სოციალიზაცია

ამერიკული კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი არ შეიძლება გახდეს 35 წლამდე, კონგრესის წევრი 30 წლამდე, წარმომადგენელთა პალატის წევრი 25 წლამდე. ხმის უფლება აქვს 18 წლიდან. ასეთი ასაკობრივი შეზღუდვები არსებობს ქვეყანათა უმრავლესობაში, თუმცა მათ შორის შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების დროისათვის ამომრჩეველთა უმრავლესობას აქვს განსაზღვრული პოლიტიკური პოზიცია და მრწამსი, რომელიც ფორმირდება ბავშვური და ახალგაზრდული გამოცდილების საფუძველზე. პოლიტიკური სოციალიზაცია ეს არის იდეების, შეხედულებების და ქცევის ნიმუშების ათვისების პროცესი ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, რომელიც განპირობებულია პოლიტიკური გარემოთი. ის გამოხატულებას პოულობს პიროვნების მახასიათებლებში: რწმენაში, კომპეტენციასა და ძალაუფლებასთან მიმართებაში. ოჯახებში, სადაც წახალისებულია დამოუკიდებლობა, სრულდება საყოველთაოდ მიღებული ნორმები და წახალისებულია ურთიერთგაგება და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, ბავშვები სწრაფად ითვისებენ ნდობასა და თივითკონტროლს.

9-დან 13-წლამდე იწყება პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპი. 9-10 წლის ბავშვებს მიდრეკილება აქვთ გააიგიონ მთავრობა პრეზიდენტის მსგავს პიროვნებებთან. ისინი ენდობიან მთავრობას და ფიქრობენ, რომ ის ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებს. უფროსი ასაკის ბავშვები ითვისებენ უფრო აბსტრაქტულ ცნებებს. ისინი აიგივებენ მთავრობას უმაღლესი სასამართლოს მსგავს ინსტიტუტებთან. მათი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას და საკუთარ თავს დამოუკიდებელს უწოდებენ. ასაკთან ერთად ბავშვებთან შეიმჩნევა ცვლილება_ბავშვები კარგავენ მთავრობის მიმართ ნდობას.

პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი აგენტებია ოჯახი, სკოლა, თანატოლები. მათ შორის ოჯახი ალბათ ახდენს ყველაზე ღრმა გავლენას. მშობლები და ბავშვები ძირითადად ჩვეულებრივ ერთ და იმავე პარტიას უჭერენ მხარს, აქვთ საერთო პოლიტიკური მისწრაფებები და მთავრობის მიმართ იდენტური დონის ნდობას ავლენენ. სკოლა ამყარებს ოჯახში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. სკოლაში მიღებული პოლიტიკური ცოდნა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკურ მრწამსზე, გამონაკლისია არაწარმატებული ოჯახის წარმომადგენლები. სამოქალაქო სამართლის საფუძველებში კურსი ალბათ აღრმავებს პოლიტიკის სფეროში მათ ცოდნას, განამტკიცებს საკუთარი არჩევანის ჭეშმარიტების რწმენას.

ოჯახისა და სკოლის ერთობლივი გავლენა ბავშვობის წლებში ხელს უწყობს ბიჭებისა და გოგონების პოლიტიკურ პოზიციებში განსხვავებას. 11 წლის ბავშვების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოლიტიკური კარიერის არჩევის დროს ბიჭები გამოხატავდნენ მერად გახდომის სურვილს, ხოლო გოგონები უპირატესობას ანიჭებდნენ მოსამართლედ ან პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელად გახდომას. როცა მათ ეკითხებოდნენ რატომ აძლევდნენ ხმას ამა თუ იმ კანდიდატს, გოგონები ირჩევდნენ უფრო მშვიდად განწყობილ, პატიოსან და ღია ადამიანებს, ხოლო ბიჭები უპირატესობას ანიჭებდნენ კანდიდატებს, რომლებიც ორიენტირებულები იყვნენ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის განმტკიცებაზე. საერთოდ, ბიჭები უფრო კარგად იყვნენ გაცნობიერებული პოლიტიკის სფეროში ვიდრე გოგონები.

თანატოლთა ჯგუფები ასევე ახდენენ გავლენას პოლიტიკური მრწამსის ფორმირებაზე. ზოგჯერ მათი ზემოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე ოჯახისა. იკვლევდა რა საშუალო სკოლებს, მარტინ ლევინმა აღმოაჩინა: როცა გაიზარდა რესპუბლიკელთა ოჯახიდან მოსწავლეთა რიცხვი, მოსწავლეები დემოკრატთა ოჯახებიდან ამჟღავნებდნენ ტენდენციას გამხდარიყვნენ რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერები. თეოდორ ნიუკომის კლასიკურ კვლევაში გაანალიზებულია ბენინგტონის უნივერსიტეტის, ვერმონტში ქალთა კოლეჯის სტუდენტების პოლიტიკური განწყობა. ბენინგტონში შეიქმნა ლიბერალური პოლიტიკური კლიმატი, მაგრამ სტუდენტები მდიდარი ოჯახებიდან ჩვეულებრივ ამჟღავნებდნენ კონსერვატულ შეხედულებებს. ნიუკომმა დაადგინა, რომ ბენინგტონის სტუდენტები თანდათან უარს ამბობდნენ საკუთარი მშობლების შეხედულებებზე.

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები თანაბრად არ არიან ჩართულები პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით მოსახლეობის 60%-ს. ეს ყველაზე დაბალი დონეა, რაც აღინიშნა რიგ ქვეყნებს შორის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, შვედეთის, და ავსტრალიის ჩათვლით. არჩევნებში მონაწილეობის დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგ. იმაზე თუ რამდენად მარტივია დარეგისტრირებისა და ხმის მიცემის პროცედურა, ან იმაზე თუ ვის აქვს ხმის მიცემის უფლება. ასევე მნიშვნელოვანია აქვს კანონებს, რომელიც არეგულირებს არჩევნების ჩატარებას. მაგ. იმის შემდეგ, რაც 1921 წელს ხმის მიცემა ავსტრალიაში გახდა სავალდებულო, ამომრჩეველთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 55%-დან 90%-მდე. როცა ხმის უფლებას ახალი ჯგუფები, მაგ. 18 წლის ახალგაზრდები ინგლისში 1970 წელს-არჩევნებში მონაწილეთა საერთო პროცენტი შეიძლება დაეცეს, რამდენადაც ახალი ჯგუფების მონაწილეობის დონე არჩევნებში, როგორც წესი დაბალია.

ხმის მიცემა – პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთერთი ფორმაა, რომელიც საკაოდ ხშირად კვლევის ობიექტი. არსებობს სხვა ფორმებიც-დაწყებული სახელმწიფო სამსახურში მუშაობიდან დამთავრებული სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირებულობით. 17-1 ცხრილში ნაჩვენებია ადამიანთა რაოდენობა, რომელიც დაკავებულია სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური მოღვაწეობით. უნდა აღვნიშნოთ: როცა პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობაა საჭირო, მონაწილეთა პროცენტი ეცემა. პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 70%-მა, მაგრამ მხოლოდ 8% აღმოჩნდა პოლიტიკური ორგანიზაციის-პარტიის ან პოლიტიკური კლუბის წევრი. სხვადასხვა ქვეყანა მნიშვნელოვან განსხვავებას ავლენს ამომრჩეველთა აქტივობის მხრივ. 17-2 ცხრილი გვიჩვენებს მონაცემებს 21 დემოკრატიული ქვეყნის შესახებ. ისინი უჩვენებენ ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობის პროცენტი ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში. ამ სიაში აშშ ბოლოს წინა ადგილზეა. ერთი შეხედვით ეს თითქოს გასაკვირია, ამერიკელები ხომ ამაცობენ თავიანთი დემოკრატიული სისტემით. მაგრამ ამომრჩეველთა დაბალი რაოდენობა აუცილებლობით არ უკავშირდება არჩევნებში მონაწილეობის სურვილის არ ქონას. შვეიცარიაში, აშშ-ში, ირლანდიაში (სადაც აღინიშნება არჩევნებში მონაწილეობის ყველაზე დაბალი დონე) ამომრჩეველა მხოლოდ მცირე რაოდენობა გამოხატავს ხმის მიცემის სურვილის არ ქონას. ამ ტენდენციის ახსნისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ სხვადასხვა საარჩევნო სისტემები. ქვეყნებში, სადაც ხმის მიცემა სავალდებულოა, შეინიშნება აქტივობის მაღალი დონე. გარდა ამისა, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატურად ხელისუფლების კონტროლით, ასევე მაღალია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ყოველი მოქალაქე თავად უნდა დარეგისტრირდეს.

არჩევნებში მონაწილეობის დონე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან და ადამიანთა განათლებასთან. რაც უფრო მაღალია ადამიანის სოციალური სტატუსი, მით უფრო მაღალია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მისი მზაობა. უფრო განათლებული ადამიანები უფრო აქტიურად არიან დაკავებულები პოლიტიკით, განსაკუთრებით მაშინ როცა გრძნობენ, რომ ხმის მიცემამ და პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალურ ცვლილებებს.

სქესი და ასაკი ასევე ახდენს გავლენას პოლიტიკურ მოქმედებაზე. როცა ქალებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება, მხოლოდ მცირე მათგანმა ისარგებლა ამ უფლებით.

არჩევნებში ქალთა მონაწილეობის დონის ზრდას (საერთაშორისო მასშტაბით), თან არ სდევს ხელმძღვანელ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე მათი არჩევა. გამოჩენილი პოლიტიკოსები, როგორცაა გოლდი მიერი, მარგარეტ ტეთჩერი ინდირა განდი, გამონაკლისს წარმოადგენს.

ცხრილი 17-1. მოსახლეობის ჯგუფების თანაფარდობა, რომელიც მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ მიღვაწეობაში.

| პოლიტიკური მოღვაწეობის ტიპები | % |
|--|----|
| 1. საპრეზიდენტო არჩევნებში რეგულარული მონაწილეობის დონე | 72 |
| 2. ადგილობრივ არჩევნებში მუდმივი მონაწილეობა | 47 |
| 3. უკიდურეს შემთხვევაში ერთი ორგანიზაციის მოღვაწეობაში აქტიური მონაწილეობა, რომელიც დაკავებულია ერთობის პრობლემებით. | 32 |
| 4. სხვებთან თანაბარი აქტიური მონაწილეობა ერთობის პრობლემების გადაწყვეტაში. | 30 |
| 5. ცდილობდა დაერწმუნებინა სხვები არჩევნებში მონაწილეობის მიზანშეწონილობაში. | 28 |
| 6. ოდესმე აქტიურად მუშაობდა არჩევნებში პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერად. | 26 |
| 7. ურთერთობდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან რაიმე საკითხის ან პრობლემის გამო. | 20 |
| 8. ესწრებოდა თუნდაც ერთ პოლიტიკურ შეხვედრას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. | 19 |
| 9. ურთერთობდნენ შტატის ან ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, რაიმე საკითხის ან პრობლემის გამო. | 18 |
| 10. ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემათა მოგვარებისათვის ჯგუფის ან ორგანიზაციის შექმნაში მონაწილეობა. | 14 |
| 11. საარჩევნო კამპანიის დროს პარტიი სათვის ან კანდიდატისთვის ფულის გადაცემა. | 13 |
| 12. პოლიტიკური კლუბის ან ორგანიზაციის წევრობა. | 8 |

ცხრილი 17-2. სხვადასხვა ქვეყნის ამომრჩეველთა მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ორგანოების ბოლო არჩევნებში.

| ქვეყანა | ქვეყანა ამომრჩეველთა თანაფარდობა მოსახლეობას შორის, რომელსაც აქვს ხმის მიცემის უფლება, % |
|--------------------|--|
| 1. იტალია | 94,0 |
| 2. ავსტრია | 89,3 |
| 3. ბელგია | 88,7 |
| 4. შვედეთი | 86,8** |
| 5. პორტუგალია | 85,9 |
| 6. საბერძნეთი | 84,9 |
| 7. ნიდერლანდები | 84,7 |
| 8. ავსტრალია | 83,1 |
| 9. დანია | 82,1 |
| 10. ნორვეგია | 81,8 |
| 11. გერმანია | 81,1 |
| 12. ახალი ზელანდია | 78,5 |
| 13. საფრანგეთი | 78,0 |
| 14. დიდი ბრიტანეთი | 76,0 |
| 15. იაპონია | 74,4 |
| 16. ესპანეთი | 73,0 |
| 17. კანადა | 67,4 |
| 18. ფინეთი | 63,0 |
| 19. ირლანდია | 62,3 |
| 20. აშშ | 52,6 |
| 21. შვეიცარია | 39,4 |

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქალებმა მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებები ამ სფეროში, სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე არჩეულ ქალთა რაოდენობა, გაიზარდა 4%-დან 1975 წელს, 12%-მდე 1980-81. თუმცა აბსოლუტური რაოდენობა მაინც დაბალი რჩება. (ცხრ. 17-3). ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის და მხარეების მართვის ორგანოებში, ვიდრე შტატებისა და ქვეყნის მართვის ორგანოებში.

როგორც წესი ხანდაზმული ადამიანები უფრო მეტი მზაობით მონაწილეობენ არჩევნებში, ვიდრე ახალგაზრდები. ეს ტენდენცია ნარჩუნდება მიუხედავად განათლების დონისა, თუმცა ძალიან ხანდაზმულთა მონაწილეობის დონე არჩევნებში კვლავ დაბალია, რაც აიხსნება მათი სუსტი ჯანმრთელობით, უბრალოდ მათთვის რთულია კაბინამდე მისვლა.

| | 1975 | 1980-81 |
|---|------|---------|
| აშშ-ს კონგრესი | 19 | 21 |
| ცალკეული შტატების მართვის ორგანოები | 30 | 34 |
| სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოები | 610 | 908 |
| მხარეთა მართვის ორგანოები | 450 | 1144* |
| მართვის მუნიციპალური ორგანოები | 4650 | 141776 |
| 1980 წლის მონაცემები და ყველა სხვა ცნობა მოპოებულია 1981 წ. წყარო: Avery. 1981.P.55 | | |

ჯგუფები და პოლიტიკური პროცესები

იკვლევდა რა ამომრჩეველთა ქცევას არჩევნების დროს 1952 და 1956 წელს, კემბელმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ ჯგუფები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მასზე. ისინი აანალიზებდნენ ამომრჩეველთა ქცევის ნიმუშებს: კათოლიკების, ზანგების, ებრაელების და ზოგი სხვა ჯგუფის. მაგ. კათოლიკები მინიმალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავისი ჯგუფის სტატუსს, ხოლო ზანგები და ებრაელები ერთიანდებოდნენ არჩევნების დროს. 1972 და 1976 წლების არჩევნების კვლევის დროს ფულენვაიდერმა აღმოაჩინა, რომ ამკარად ფენისტური შეხედულებებით გამორჩეული ქალები, სხვა ქალებთან შედარებით უფრო აქტიურები არიან. პოლიტიკურად. ეს ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელთათვის.

ზეწოლის ჯგუფები აშშ-ში.

სხვადასხვა ჯგუფები უშუალო გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ისინი დაკავშირებული არიან საერთო ინტერესებით და ახდენენ სოციალური მოძრაობების, გაერთიანების, ზეწოლის ჯგუფების ორგანიზებას მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით. მაგ. ზოგი პროფკავშირი ქმნის კომიტეტს პოლიტიკური აქციების ჩატარების მიზნით. ეთნიკური ჯგუფები ასევე მოქმედებენ ერთობლივად. მათი ბრძოლის მიზნები და მეთოდები განსხვავდება იმის მიხედვით თუ როდის ემიგრირდნენ აშშ-ში, სადაც დასახლდნენ და ადაპტირდნენ ახალ ცხოვრებასთან. მაგ. გერმანელები, რომლებიც დასახლდნენ ოჰაიოში და პენსილვანიაში XIX ს-ის დასაწყისში საკმაოდ გავლენიან ჯგუფად ჩამოყალიბდა. 30-იან წლებში ამ შტატებში მიიღეს კანონი, რომლიც იძლეოდა გერმანულ ენაზე განათლების მიღების უფლებას სახელმწიფო სკოლებში. შედარებით ახლო წარსულში მექსიკელების ზოგი ჯგუფი გაერთიანდა და წამოაყენა პოლიტიკური მოთხოვნა ორ ენაზე განათლების მიღების შესახებ.

პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტია ეს არის პოლიტიკური გავლენის ერთერთი ძირითადი წყარო. პარტია მოქმედებს როგორც შუამავალი ინდივიდსა და შუამავალს შორის. ის აგროვებს ინფორმაციას მთავრობის და მისი პოლიტიკის შესახებ, გამარტივებული ფორმით აწვდის მას ამომრჩეველს, წარადგენს კანდიდატებს პოლიტიკურ პოსტზე და ატარებს კამპანიას მის მხარდასაჭერად.

ამერიკული პოლიტიკური მოიცავს სამ ელემენტს:

1. პარტიული ორგანიზაცია.

2. პარტიის წევრთა ჯგუფები, რომლებიც შედის მთავრობის შემადგენლობაში.

3. ამომრჩეველი, რომელიც მხარს უჭერს ამ პარტიას.

პარტიულ ორგანიზაციას ხშირად უწოდებენ უბრალოდ ორგანიზაციას ან აპარატს. მასში შედის ოფიციალური პარტიული ხელმძღვანელობა, ზოგი გავლენიანი პიროვნება, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დონის და პარტიული ბიუროკრატის პარტიული ხელმძღვანელები. პარტიული ორგანიზაცია მოიცავს ყველა ადამიანს, რომელიც გასცემს თავის დროს, ფულს და ცოდნას პარტიის საკეთილდღეოდ, ასევე იღებს გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას პარტიის სახელით.

ჯგუფები, რომლებიც შედის მთავრობის შემადგენლობაში, შედგება პარტიის წევრებისაგან, რომლებიც არჩეულია ან დანიშნულია სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე ადგილობრივ, სახელმწიფოებრივ და ფედერალურ დონეზე. ამ ჯგუფის წევრები იშვიათად ექვემდებარებიან კონტროლს პარტიული ორგანიზაციის მხრიდან. თუმცა ალბათ ისინი გამოდიან პარტიის სახელით და ხშირად ატარებენ მის ხაზს არჩევნებზე, ისინი ნაკლებად არიან ვალდებული დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას, ვიდრე მართველი პარტიის წევრები ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში.

ეკონომიკური განვითარება, სტაბილურობა და დემოკრატია

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მის პოლიტიკურ სტრუქტურას და სტაბილურობას შორის ურთიერთკავშირი იწვევს სოციოლოგების ღრმა ინტერესს. ლიპსეტი (1960) ფიქრობს, რომ ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ხელს უწყობს დემოკრატიასაც და სტაბილურობას. თავის კვლევაში მან დაყო 50 ქვეყანა 4 კატეგორიად:

1. ევროპული და ინგლისურ ენოვანი სტაბილური დემოკრატიები;
2. ევროპული და ინგლისურ ენოვანი არასტაბილური დემოკრატიები და დიქტატორული რეჟიმები;
3. მართველობის დემოკრატიული ფორმები და არასტაბილური დიქტატურები ლათინურ ამერიკაში;
4. სტაბილური დიქტატორული რეჟიმები ლათინურ ამერიკაში.

იყენებს რა ეკონომიკურ მაჩვენებლებს, (მოსახლეობის კეთილდღეობა, ინდუსტრიალიზაციის დონე, ურბანიზაცია და განათლება), მან შეადარა ეს კატეგორიები ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების შესაბამისად. განვითარებული ეკონომიკის მქონე საზოგადოებებში, (ძირითადად ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში), არსებობდა სტაბილური დემოკრატია, მაშინ, როცა ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, (მაგ. ლათინურ ამერიკაში), ჭარბობდა არასტაბილური დემოკრატიები და დიქტატორული რეჟიმები.

ლიპსეტმა ვერ შეძლო შეედარებინა დემოკრატის თავისებურებები და სტაბილურობა. უფრო გვიანი დროის კვლევებში ეს ორი ელემენტი ცალცალკეა განხილული. კვლევათა უმრავლესობა აფიქსირებს პოზიტიურ კავშირს ეკონომიკურ განვითარებას და სტაბილურობას, ასევე დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის. თუმცა არსებობს რამდენიმე აშკარა გამონაკლისი. მაგ.

საფრანგეთმა მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იქ მთავრობა სუსტი და არასტაბილური იყო.

ლიპსეტი ყურადღებას ამახვილებდა სოციალური ჯგუფების როლზე. მან აღნიშნა, რომ დემოკრატიის პირობებში, სიღარიბის ფართო სფეროების არ არსებობა, ხელს უწყობს ხელისუფლებაზე ზეწოლის შესუსტებას. შემოსავლების ზრდა, ეკონომიკური საიმედოობა, და განათლების ფართოდ გავრცელება ნერგავს იმედს უფრო დაბალი ფენის ადამიანებში. ეს იმედი რამდენადმე ასუსტებს მსგავსი ჯგუფების რევოლუციურ განწყობას. უფრო წარმატებული ჯგუფები, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პრივილეგიები, კონსერვატულ პრინციპებს უჭერს მხარს.

კამათი პლურალიზმისა და ელიტის როლის შესახებ

ლიპსეტის დაკვირვება მთავრობისადმი სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულებაზე, წამოჭრის საკითხს პოლიტიკურ პროცესებზე სხვადასხვა ჯგუფების გავლენის შესახებ. აკეთებს რა ყურადღების კონცენტრირებას იმათ როლზე, ვისაც აქვს ძალაუფლება აშშ-ში, სოციოლოგები სვამენ კითხვას: “ვინ მართავს რეალურად ამერიკულ დემოკრატიას – ელიტა, თუ კონკურენტულ და კონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფები.”

ჩარლზ მილსი და სხვები ფიქრობენ, რომ ძლიერდება ძალაუფლების კონცენტრაცია მართველი ელიტის ხელში, რომელიც მართავს ამერიკულ საზოგადოებას. თავის დროზე, საუბრობდა რა მმართველ ელიტაზე, მილსი გულისხმობდა “პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საბრძოლო წრეებს, რომლებიც წარმოადგენდნენ დაჯგუფებათა რთულ სისტემას, ნაწილობრივ თანამხვედრი ინტერესებით და იღებენ საერთო გადაწყვეტილებებს, რომლებსაც გარკვეული შედეგები მოაქვს ხალხისათვის”. მილსი აღნიშნავდა, რომ კორპორაციის ხელმძღვანელები, სამხედრო და სამთავრობო მაღალჩინოსნები ქმნიან დირექტორატს, რომელიც მართავს ქვეყნის საქმეებს. ამ ადამიანთა უმრავლესობა, პროტესტანტული სარწმუნოების ანგლოსაქსები იყვნენ, რომლებიც სწავლობდნენ ახალი ინგლისის უძველეს უნივერსიტეტებში. ისინი შედიან ერთ და იმავე საზოგადოებრივ კლუბებში, და მიეკუთვნებიან ერთ და იმავე წრეს.

მილსმა აღნიშნა, რომ მმართველი ელიტა იკავებს ძალაუფლების სტრუქტურის მწვერვალს. საშუალო საფეხურზე იმყოფებიან ჯგუფები, რომლებსაც აქვთ სტანდარტული მოთხოვნები, რომლებიც გავლენას და ზეწოლას ახორციელებს კონგრესზე. ქვედა საფეხურზე იმყოფება არაორგანიზებული მოქალაქეები, რომლებიც ექვემდებარება სხვათა ნებას.

ე.წ. პლურალისტების თვალსაზრისით, აშშ-ში ხდება ხელისუფლების ძალაუფლების თანდათანობითი გაძლიერება. მილსის მსგავსად ისინიც ფიქრობენ, რომ რიგ მოქალაქეებს არ აქვთ არც დრო და არც შესაბამისი მომზადება და არც სურვილი, მიიღონ მონაწილეობა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა ისინი უარყოფენ მილსის იდეას, ელიტის წარმომადგენლების ხელში ძალაუფლების თანდათანობითი კონცენტრაციის შესახებ. მისგან განსხვავებით ისინი ფიქრობენ, რომ ძალაუფლება ნაწილდება საზოგადოების ჯგუფებს შორის, რომლებიც კონფლიქტურ და კონკურენტულ მდგომარეობაში არიან ერთმანეთთან მიმართებაში. ეს ჯგუფები განახორციელებენ იმას, რასაც რისმანი, გლეიზერი და დენი უწოდებს “ვეტოს უფლებას.” ისინი იცავენ თავიანთ უფლებამოსილებს, ეწინააღმდეგებიან სხვა ჯგუფების პოლიტიკურ ძალისხმევას. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მაგალითი, როცა საქმიანმა წრეებმა შეძლეს ხელი შეეშალათ იმ გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელიც აუცილებლობით ითხოვდა მყიდველის ინფორმირებას მანქანის დეფექტების შესახებ. მაგრამ

მომხმარებელთა ჯგუფები, რომლებიც აცნობიერებდა უსაფრთხოების ზომების მნიშვნელობას, ასევე საკმარისად ძლიერი არიან, რომ ხელი შეუშალონ ავტომობილების წარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ავტომობილების წარმოების ხელმძღვანელების ნებისმიერ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია საკუთარი პროდუქციის ნებისმიერი კონტროლის წინააღმდეგ.

პლურალისტები ასევე ამტკიცებენ, რომ არებობს ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრი. ხანდაზმულთა, ავტომობილების მწარმოებელთა, ფერმერების, საქმიანი ადამიანების, მუშების მოთხოვნები ხომ არაერთგვაროვანია. ამიტომაც მთავრობის გადაწყვეტილებები, უნდა ითვალისწინებდეს ჯგუფების ინტერესებს, რომლებიც დროებით ერთიანდება კოალიციაში, რაიმე გადაწყვეტილების მხარდაჭერის ან უარყოფის მიზნით.

ცხრილი 17-4. მართველი ელიტა და პლურალისტური შეხედულებები

| | მილსი | რისმანი |
|-------------------|--|---|
| დონეები | გაერთიანებული მართველი ელიტა | მართველი ელიტის ბატონობის უარყოფა |
| | სხვადასხვა ორგანიზებულ ჯგუფთა სიმრავლე, რომეიც იცავს თავის ინტერესებს | სხვადასხვა ორგანიზებულ ჯგუფთა სიმრავლე, რომეიც იცავს თავის ინტერესებს |
| | არაორგანიზებულ ადამიანთა მასა, რომელიც პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას ელიტაზე | არაორგანიზებულ ადამიანთა მასა, რომელიც რაღაც დონით ახდენს გავლენას ჯგუფებზე, რომლებიც მისდევს საკუთარ ინტერესებს. |
| ცვლილებები | ძალაუფლების კონცენტრაციის ზრდა | ძალაუფლების გავრცელებისაკენ ტენდენცია |
| მოქმედება | ერთი ჯგუფი წყვეტს თავის ძირითად პოლიტიკურ საკითხებს. | ის ვინც წყვეტს ძირითად პოლიტიკურ საკითხებს მოქმედებს სიტუაციის მიხედვით. |
| | გაბატონებული ჯგუფი მანიპულირებს ქვემდგომი ადამიანებით. | ორგანიზებულ ჯგუფებს შორის მონოპოლისტური კონკურენცია. |
| საფუძველი | ძირითადი ჯგუფების (ეკონომიკური, სამთავრობო, სამხედრო) ინტერესების თანხვედრა. | ძირითად ორგანიზებულ ჯგუფებს შორის ინტერესთა მრავალგვარობა. |
| | | სისუსტისა და დამოკიდებულების შეგრძნება, იმათ შორის ვისაც აქვს მაღალი სტატუსი, და ასევე იმათ შორის, ვისაც აქვს დაბალი სტატუსი. |
| შედეგები | კორპორაციების, შეიარაღებული ძალებისა და მთავრობის აღმასრულებელ ორგანოთა წამომადგენლების გავლენის გაძლიერება. | არცერთ ჯგუფს ან კლასს არ აქვს სხვებთან შედარებით მნიშვნელოვანი პრივილეგია. |

| | | |
|---|---|--|
| | სადავო საკითხების გადაწყვეტის დროს საზოგადოებაზე პოლიტიკოსების გავლენის შესუსტება. | პოლიტიკოსების პირადი დაინტერესებისა და მოვალეობის გრძნობის შესუსტება |
| | ძალაუფლების ანგარიშგაღებულებისა და პასუხისმგებლობის შემცირება-დემოკრატიის შესუსტება | ეფექტური ხელმძღვანელობის შესაძლებლობის შესუსტება. |
| წყარო: ლიპსეტი. კულტურა და სოციალური ხასიათი, 1961 | | |

კოალიციის წევრებს შორის ნებისმიერი საკითხის შესახებ შეიძლება წარმოიქმნას

უთანხმოება. ძალაუფლების მოქმედებაში არ არის მუდმივობა. და შესაბამისად არ არსებობს მუდმივი იერარქია და მუდმივი ელიტა, რომელიც შედგება ერთი წრის წარმომადგენლებისაგან. ელიტარული და პლურალისტური მოდელი არ შეესაბამება დემოკრატიის კლასიკურ მოდელს. ამახვილებენ რა ყურადღებას მცირეთა ხელში ძალაუფლების კონცენტრაციაზე, ელიტარისტები არ ითვალისწინებენ მმართველთა პასუხისმგებლობის დონეს მათ მიერ განხორციელებული მოქმედებისათვის. ამახვილებენ რა ყურადღებას ჯგუფებს შორის ძალაუფლების გადანაწილებაზე, პლურალისტები წარმოგვიდგენენ განხეთქილებისა და ჩიხის სურათს, რომელიც თანაბრად ართულებს ძალაუფლების ფუნქციონირებას. მაგრამ არც ელიტარისტები, არც პლურალისტები არ განიხილავენ ქვეყნის მმართველობაში ცალკეულ მოქალაქეთა მონაწილეობას. (17-4 ცხრილში წარმოდგენილია ეს ორი მოსაზრება).

მოკლე შინაარსი

1. პოლიტიკური წყობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც იდეოლოგიისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ახდენს პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმირებას საზოგადოების შიგნით. პოლიტიკური სისტემის საფუძველში დევს ძალაუფლების ცნება. ძალაუფლება გულისხმობს შესაძლებლობას, საკუთარი ნება განავრცო სხვაზე, და მოახდინო რესურსების მობილიზება დასახული მიზნის მისაღწევად. ზოგი თეორიტიკოსი ადარებს ძალაუფლებას შეზღუდული რაოდენობის პროდუქციას, მის ნებისმიერ გადანაწილებას შეიძლება თან სდევდეს დანაკარგი რომელიმე პარტიასთან მიმართებაში. სხვები ფიქრობენ, რომ ძალაუფლებას აქვს შეუზღუდავი ხასიათი, ამიტომ მისი კონცენტრაცია ვინმეს ხელში არ ნიშნავს სხვა ვინმეს შესუსტებას.

2. ძალა ეს არის ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება სხვებზე საკუთარი ნების გავრცობის მიზნით. ძლიერი ავტორიტეტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ლეგიტიმური და ინსტიტუციონალურ-სამხედრო ძალაუფლება. ვებერმა გამოყო ბატონობის სამი ტიპი: ხარიზმული, ტრადიციული და რაციონალურ-ლეგალური.

3. სახელმწიფო-ეს არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც ფლობს რესურსებისა და საშუალებების გადანაწილებისათვის საჭირო ძალაუფლებას, ძალას და ავტორიტეტს. სოციალური კონფლიქტის მომხრეები სახელმწიფოს განხილვის დროს ძირითად ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა ჯგუფების ბრძოლაზე შუზღუდული რესურსებისათვის, მაშინ როცა ფუნქციონალიზმის თეორიაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ძალაუფლების იმ ასპექტებს, რომლებიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე. მარქსი სახელმწიფოს განიხილავდა როგორც მმართველი კლასის ძალაუფლების დაცვისა და გაძლიერების საშუალებას. ფუნქციონალისტი პარსონსი გულისხმობს, რომ საზოგადოება ახდენს ადამიანური ბუნების ცივილიზირებას და მორალურ სრულყოფას. მისი აზრით პოლიტიკური ცხოვრება წარმოადგენს უფრო კოორდინაციის პროცესს და არა კლასებს შორის ბრძოლას რესურსების გაკონტროლების მიზნით.

4. ტოტალიტარული სახელმწიფოს ლიდერები ისწრაფვის ქვეყნის და ხალხის სრული კონტროლისათვის. ისინი ცდილობს გზა გადაუღობოს ძალაუფლებისაკენ ნებისმიერ ჯგუფს და ხელი შეუშალოს გახდეს შუამავალი მთავრობასა და ქვეყნის მოქალაქეებს შორის. ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ექვსი ძირითადი თავისებურება.: იდეოლოგიის ფართო გამოყენება, ერთპარტიული სისტემა, ტერორის გამოყენება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონტროლი, იარაღის განკარგვა და ეკონომიკის მართვა. ამგვარად ტოტალიტარული სისტემა შლის ზღვარს საზოგადოებრივ და პიროვნულ სფეროს შორის და თრგუნავს ინდივიდუალურ ინიციატივას. სახელმწიფო ცდილობს აბსოლუტურად დაიმორჩილოს მოქალაქეები საზოგადოებაში ყველა სხვა ინსტიტუტის კონტროლისა და დათრგუნვის გზით.

5. ავტორიტარულ სახელმწიფოში ძალაუფლება კონცენტრირებულია მონარქის ან დიქტატორის ხელში, რომელიც მართავს ძალის გამოყენებით. პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია თამაშობს განსაზღვრულ როლს, მაგრამ ტოტალიტარულ საზოგადოებაში განხორციელებულია უფრო მკაცრი კონტროლი ცხოვრების ყველა ასპექტთან მიმართებაში.

6. წარმომადგენლობით დემოკრატია, ეს არის სახელმწიფოს ფორმა, რომლის პირობებშიც ხალხი ახდენს განსაზღვრული ვადით საკუთარი ძალაუფლების დელეგირებას არჩეულ პირებზე, რომლებიც რაღაც პერიოდის შემდეგ გადარჩევას ექვემდებარებიან. ასეთი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება: ინდივიდუალიზმის დიდი მნიშვნელობა, კონსტიტუციონალური მმართველობის არსებობა, მართულთა მმართველობა, ლოიალური ოპოზიცია.

7. პოლიტიკური სოციალიზაცია წამოადგენს ევოლუციურ პროცესს, რომლის განმავლობაშიც ბავშვები და მოზარდები ითვისებენ იდეებს, ცხოვრებისეულ პოზიციებს და ქცევის მოდელებს, რომელიც დამახასიათებელია მათ გარშემო არსებული პოლიტიკური გარემოსათვის. სოციალიზაციის ძირითადი აგენტებია _ ოჯახი, სკოლა და თანატოლები.

8. პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანთა მონაწილეობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ხმის მიმცემთა რაოდენობა დამოკიდებულია რეგისტრაციის წესზე, (მის სიმარტივეზე) და ხმის უფლების მქონეთა შემადგენლობაზე. როცა მოითხოვება უფრო აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ საქმეებში, მონაწილეთა რაოდენობა როგორც წესი იკლებს. რაც უფრო მაღალია ადამიანის სოციალური სტატუსი, მით უფრო მაღალია პოლიტიკურ მიოდვაწეობაში მისი მონაწილეობის ალბათობა.

9. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ძლიერ გავლენას ახდენს ამომრჩეველთა ჯგუფებზე. გარდა მისა, ისინი მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოდიან იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ ან მხარდასაჭერად, რომლებიც მათ ინტერესებს ეხება. პოლიტიკური პარტიები მოქმედებს როგორც შუამავალი პიროვნებასა და მთავრობას შორის. ამერიკული პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება: 1)პარტიული ორგანიზაცია. 2)პარტიის წევრთა ჯგუფები. 3)პარტიის მხარდამჭერი ამომრჩეველი. უკანასკნელ წლებში შემცირდა პარტიის გავლენა ამერიკულ პოლიტიკაზე.

10. სწავლობდა რა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მის პოლიტიკურ სტრუქტურასა და სტაბილურობას შორის ურთიერთკავშირს, ლიპსეტი მივიდა დასკვნამდე, რომ ეკონომიკის მაღალი დონე ხელს უწყობს დემოკრატია და სტაბილურობას. სხვა მკვლევარები, რომლებმაც ცალკე განიხილეს დემოკრატია და სტაბილურობას შორის ურთიერთკავშირი, არ ეთანხმებიან ლიპსეტის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის ზოგ ნაწილს.

11. მილსის მსგავსი სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ ამერიკულ საზოგადოებას მართავს “მმართველი ელიტა”. მილსის აზრით ელიტა, (რომელიც აკონტროლებს კორპორაციებს, შეიარაღებულ ძალებს და მთავრობას) შედგება პროტესტანტული სარწმუნოების ანგლოსაქსებისაგან, რომლებმაც განათლება ახალი ინგლისის უძველეს უნივერსიტეტებში მიიღეს, და რომლებიც ერთი და იმავე სოციალური კლუბების წევრები არიან. პლურალისტები საწინააღმდეგო თვალსაზრისს გვთავაზობენ, ისინი ფიქრობენ რომ ძალაუფლება ნაწილდება ერთმანეთთან კონფლიქტურ და კონკურენტულ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს შორის და არსებობს ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრები.

ალექსის დე ტოკვილი

ფრანგი სწავლული საზოგადოების ისტორიის სფეროში კაცობრიობის ისტორიის ყველაზე არეულ პერიოდში ცხოვრობდა_XIX ს-ის პირველ ნახევარში. მისი ცხოვრების მანძილზე დემოკრატიულმა და საწარმოო რევოლუციებმა მიაღწიეს დამაბულობის უმაღლეს წერტილს. ტოკვილზე დიდი გავლენა მოახდინა ტრადიციულ და თანამედროვე ღირებულებებს შორის კონფლიქტმა, რომელიც გამოწვეული იყო რევოლუციური მოვლენებით. მან საკუთარი თავი მიუმდგნა იმ სოციალური ცვლილებების შესწავლას, რომლებიც მაშინ ხდებოდა, განსაკუთრებით პოლიტიკის სფეროში. არისტოკრატიული წარმომავლობის მიუხედავად, ტოკვილს სჯეროდა, რომ მისი დროის ძირითადი სოციალური ტენდენციები იყო გარდაუვალი და საყოველთაო სწრაფვა დემოკრატიისაკენ. ცდილობდა რა გაეცნობიერებინა მიმდინარე პროცესები, ის ბევრს მოგზაურობდა აშშ - ში. 1835 წელს მისი პირველი მნიშვნელოვანი შრომა - “დემოკრატია ამერიკაში”. ამ ნაშრომში ის ახასიათებდა ამერიკულ დემოკრატია, როგორც ერთადერთს, რომელშიც თანასწორობის პრინციპი ყველაზე ფართოდ გავრცელდა, ძირითადად იმიტომ, რომ მას არ უპირისპირდებოდა ფეოდალური ტრადიციები. აღიარებდა რა პოტენციურად სასიკეთო შესაძლებლობებს, რომელიც იქმნებოდა თანასწორობის გამყარებით, ტოკვილი ასევე გვაფრთხილებდა იმ საშიშროების გამო, რაც გულისხმობდა, რომ დემოკრატია შეიძლება მიგვიყვანოს “უმრავლესობის ბატონობასთან” (ანუ საზოგადოებრივი აზრის) და პიროვნების დათრგუნვასთან შუალედური გავლენის ჯგუფების არარსებობის

პირობებში. ევროპაში არისტოკრატია და ხელოსანთა კავშირები, რომლებიც ასრულებდა ამ ფუნქციას, პრაქტიკულად გაქრა. აშშ-ში თუმცა არსებობდა ბევრი ასოციაცია და ორგანიზაცია, რომლებსაც შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება. მათ შორის ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, პროფესიული ორგანიზაციები, და თვით ფედერალური სისტემა. მიუხედავად დემოკრატიის აუცილებელი განვითარების რწმენისა, ტოკვილი შემფოთებული იყო არისტოკრატის ტრადიციული ევროპული იდეალების რღვევით: ღირსებისა და რელიგიის. წიგნში “ძველი რეჟიმი და ფრანგული რევოლუცია” ის ახასიათებდა ამ პროცესის თავისებურებებს საფრანგეთში. სხვა ნაშრომებში ის ცდილობდა გაეაზრებინა დემოკრატიის ზემოქმედება ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე და საერთოდ კულტურაზე. ტოკვილის შეხედულებები დემოკრატიაზე პესიმისტურია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამ პროცესის არსის მისეული გაგება აღმოჩნდა ძალიან სწორი, ის შეიძლება მივაკუთვნოთ XIX ს-ის ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკურ მოაზროვნეებს.